ერთადერთი ბურთი

მინსკი. “დინამოს” სტადიონი. 18 აგვისტო. მზიანი ამინდი. 18 გრადუსი. 35 000.

“დინამო” (მინსკი) - “დინამო” (თბილისი) 1:0 (1:0).

გოლი გაიტანა იარომკომ (26).

გაფრთხილება – ბორის სიჭინავა, გიორგი სიჭინავა.

მინსკი: ფროლოვი, რიომინი, ზარემბო, უსატორე, სავოსტიკოვი, ტოლეიკო, არზამასცევი, მოზერი, იარომკო, მალაფეევი, პოგალნიკოვი.

თბილისი: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, ილიადი, დათუნაშვილი (ხუციშვილი - 80), მეტრეველი, იამანიძე, მესხი.

მსაჯი ვ. ბარაშკოვი; გვერდითი მსაჯები ა. ევსტიგნეევი და ა. კადეტოვი (ყველა მოსკოვი).

დუბლიორები - 2:0 თბილისელთა სასარგებლოდ. გოლები გაიტანეს აბაიშვილმა და ხუციშვილმა.

ჩვენის აზრით, მინსკის ‘‘დინამოს’’ ხელმძღვანელობა სწორად მოიქცა, როცა სსრ კავშირის თასის ფინალში ორი დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ დასვენების საშუალება მისცა თავისი გუნდის რამდენიმე წამყვან მოთამაშეს. ამოცანა მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, შეძლებდნენ თუ არა ეს ფეხბურთელები გაემართლებინათ მათზე დაკისრებული იმედები.

მატჩის მსვლელობამ ცხადყო, რომ ეს ვარაუდი სწორი გამოდგა. მინსკელთა ახალი შემადგენლობა თამაშობდა ამ გუნდისათვის ჩვეულ ტემპში, მაქსიმალური ენერგიითა და თავგამოდებით. კერძოდ, მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა დაცვა და მეკარე ფროლოვი. ამ უკანასკნელმა შეძლო დაეცვა თავისი კარის უხიფათობა მეორე ტაიმში და როცა თბილისელები ძალზე სახიფათოდ უტევდნენ მასპინძლებს, ფროლოვმა აიღო რამდენიმე თითქმის უიმედო ბურთი.

ერთადერთ გოლს, რომელიც გატანილ იქნა ჩემპიონის კარში, მე მივაწერ მისი დაცვის ცუდ განლაგებას და უმოქმედობას 25-ე წუთზე დანიშნული საჯარიმო დარტყმის შესრულებისას. თბილისელებმა საშუალება მისცეს იარომკოს გაეტანა ბურთი და თუმცა შემდგომში სრული მონდომებით ცდილობდნენ მის გაქვითვას, ეს მიზანი არ იქნა მიღწეული. მინსკელებმა მოიპოვეს უაღრესად საჭირო 2 ქულა.

ა. მერილო. მინსკი.

“ლელო”, 19 აგვისტო, 1965 წ.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 19. 08.65.